



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1429  
27/07/2018

ქალაქი ბათუმი

1429-05-4-201807271749



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 27 დეკემბრის №2713 ბრძანებაში ცვლილები შეტანის შესახებ**

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მადონა სამნიძის 2018 წლის 27 ივლისის №2156-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 27 დეკემბრის №2713 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა